ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №65 სხდომის ოქმი

2012 წლის 12 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

დღის წესრიგი:

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისა და ბიზნესის ფაკულტეტებისათვის სახელწოდებების „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლა- Ilia State University, School of Law“ და „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა - Ilia State University, Business School“ შეცვლის შესახებ საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;

2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის, ლელა ხომერიკის წარდგინების განხილვა პროფესორ-ემერიტუსის, აივენგო შათირიშვილის მიერ მომზადებული წიგნის „გენეტიკა და საზოგადოება“ უნივერსიტეტის ფარგლებში გამოცემის შესახებ;

3. საინჟინრო ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორის, ვაჟა ვარაზაშვილისათვის პროფესორ-ემერიტუსის წოდების მინიჭების საკითხის განხილვა;

4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შემოსული განცხადების განხილვა და რეგენტთა საბჭოსთვის წარდგენა;
5. პროფესორის სამივე თანამდებობაზე (სრული, ასოცირებული, ასისტენ პროფესორი) კონტრაქტის უვადო, უვადოზე ორიენტირებული და დროებითი ვარიანტების კონტრაქტების შემოღება.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მაია როგავა - სხდომის მდივანი;
3. მარინე ჩხიკვიშვილი;
4. მიხეილ ელაშვილი.

2012 წლის 12 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს სხდომაზე დადგინდა:

1. **დადგინდეს** - 2012 -2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტს შეეცვალოს სახელი და ეწოდოს „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლა- Ilia State University, School of Law“, ასევე ბიზნესის ფაკულტეტს შეეცვალოს სახელი და ეწოდოს „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა - Ilia State University, Business School“;

2. **დადგინდეს** - დაევალოს უნივერსიტეტის გამომცემლობას, უზრუნველყოს პროფესორ-ემერიტუსის, აივენგო შათირიშვილის მიერ მომზადებული წიგნის „გენეტიკა და საზოგადოება“ უნივერსიტეტის ფარგლებში გამოცემა;

3. დადგინდეს - დაევალოს საინჟინრო ფაკულტეტს სრული პროფესორის, ვაჟა ვარაზაშვილისათვის პროფესორ-ემერიტუსის წოდების მინიჭების საკითხის განხილვა და იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ფაკულტეტზე პროფესორ-ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, საკითხი დასამტკიცებლად წარმოადგინონ მომდევნო აკადემიურ საბჭოზე;

4. ***დადგინდეს*** - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შემოსული დავით აფრასიძისა და გიორგი გვალიას განაცხადები გაეგზავნოს რეგენტთა საბჭოს;

5. **დადგინდეს:** დამტკიცებულ იქნას რექტორის ინიციატივა პროფესორის კონტრაქტებთან დაკავშირებით, კერძოდ: პროფესორის სამივე პოზიციაზე კონტრაქტის უვადო , უვადოზე ორიენტირებული და დროებითი ვარიანტების შემოღება. დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, მოამზადოს ახალი კონკურსის პირობები და განახორციელოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ახალ კონტრაქტებზე გადაყვანა კონკურსის საშუალებით ისე, რომ 2012-2013 სასწავლო წლის მეორე სემესტრი პროფესორებმა ახალი კონტრაქტებით დაიწყონ.

საბჭოს თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

საბჭოს მდივანი

მაია როგავა